ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N15

4 ოქტომბერი, 2018 წელი ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, გ. გოცირიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.**

   მომხსენებელი: ბატონი კახაბერ გვანცელაძე.

   თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დაადასტურა კვორუმის არსებობა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა განათლებისა და კულტურის კომისიის წევრების მიერ.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, განათლებისა და კულტურის კომისია აგრძელებს გასვლით სხდომებს საბავშვო ბაგა-ბაღებში, რომლის მიზანს საკრებულოს წევრების მიერ

არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლა წარმოადგენს. დეპუტატის თქმით, მიმდინარე სხდომა ახლადაშენებულ თბილისის 67-ე საბავშვო ბაგა-ბაღში იმართება.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ხაზი გაუსვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმის მნიშვნელობას, როგორც მთლიანად განათლების სისტემის საფუძველს. დეპუტატის თქმით, აუცილებელია სკოლამდელ ასაკში ბავშვებს ჰქონდეთ შესაბამისი სტანდარტების სააღმზრდელო და სასწავლო სერვისი, რომელიც მოიცავს მაღალი სტანდარტის კვებას, მეთოდურ განვითარებასა და სხვა მრავალ ასპექტს. დეპუტატის განმარტებით, პროცესის სირთულისა და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონით გათვალისწინებული ყველა სტანდარტი მოცემულ ეტაპზე დაკმაყოფილებული არ არის, მაგალითად, არ მოქმედებს სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის მექანიზმი, თუმცა მუნიციპალიტეტები ცენტრალურ ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს აღნიშნულ საკითხზე.

სფეროს მიმოხილვის შემდეგ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სიტყვა გადასცა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის წარმოდგენისთვის.

მოისმინეს:

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ დასაწყისში აღნიშნა, რომ წინამდებარე ანგარიში მოიცავდა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული ძირითადი სამუშაოების შესახებ ინფორმაციას რამდენიმე მიმდინარე პროექტის გამოკლებით, რომელთა შესახებაც თბილისის საკრებულოს მოგვიანებით წარუდგენდა ანგარიშს.

ბატონი კახაბერის განმარტებით, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ბაღების გადატვირთულობაა, აქედან გამომდინარე ბაღების მშენებლობის ტემპიც მაღალია და ყოველწლიურად მინიმუმ 10 ბაღის მშენებლობა იგეგმება. ასევე, მისი თქმით, ახალი ბაღების მშნებლობასთან ერთად იგეგმება ავარიული, სადემონტაჟო ბაღების ჩანაცვლებაც. მისი თქმით, 2018 წელს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ გახსნა 9 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი, ხოლო 2 ბაღი კორპუსის სახით დაემატა არსებულ ბაღებს, რითაც დამატებით 600 სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ბატონი კახაბერის განმარტებით, ინფრასტრუქტურული პროექტების დადეგმვისას ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო იყენებს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მომსახურებას, რომელიც ამოწმებს საბაშვო ბაგა-ბაღების კონსტრუქციულ მდგრადობას, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ აუცილებელია 13 საბავშვო ბაგა-ბაღის დემონტაჟი, რომლებშიც ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შეწყვეტილია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, აღსაზრდელები და დასაქმებული თანამშრომლები კი ახლომდებარე ბაღებსა და ალტერნატიულ ფართებში გადანაწილდნენ.

ბატონი კახაბერის თქმით, სადემონტაჟო ბაღების ადგილას აშენდება ახალი ბაღები, რომელთა პროექტებზე მუშაობა მიმდინარე პროცესია და ის ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი დაინტერესდა აღნიშნული პროექტები ბაღების შენობისათვის სტანდარტულ დიზაინს ითვალისიწინებს, თუ ინდივიდუალურს, რაზეც ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ ახალი ბაღების დიზაინი ინდივიდუალურია და მათი განხილვა გაიმართება დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან.

ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ 2019 წელს სადემონტაჟო ბაღების ჩანაცვლების გარდა, სააგენტო ასევე გეგმავს სხვა ახალი ბაღების მშენებლობასაც, რომელთა პროექტებზე მუშაობა მოცემულ პერიოდში მიმდინარეობს და მათი განხილვა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების მიზნით, უშუალოდ მოსახლეობასთან ერთად არის შესაძლებელი. სააგენტოს ხელმძღვანელის განმარტებით, მოსახლეობის მხრიდან მაღალი მომართვიანობისა და ყველაზე მეტად გადატვირთული ჯგუფების არსებობის გამო, 2019 წელს გლდანი, სამგორი და ისანი იქნება პრიორიტეტული რაიონები ახალი ბაღბების მშენებლობის კუთხით.

სააგენტოს დირექტორის განმარტებით, 2018 წლის ზაფხულის პერიოდში 22 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაო; გარემონტდა ფასადები და შეკეთდა სახურავები, ჯამში კი 35 ბაღში განხორციელდა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. აგრეთე, ჩატარდა ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. როგორც ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, სააგენტოსთვის პრიორიტეტული იყო სამუშაოები ყოფილიყო მაქსიმალურად ხარჯთეფექტური სამუშაოების ხარისხის შენარჩუნების პარალელურად. მისი თქმით 2018 წელს ჩატარდება ბაღების ეზოების ინვენტარიზაცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება, თუ რომელი ბაღების ეზოების რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს პირველ რიგში.

ბატონი კახაბერის თქმით, 2018-2019 საღმზრდელო წელს ელექტრონული რეგისტრაცია გაიარა 10 711 ბავშვმა. გარდა ამისა, მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, სააგენტომ გამოაცხადა დამატებითი რეგისტრაცია თბილისის მერიასთან ერთად შემუშავებული კონკრეტული პრიორიტეტების მიხედვით, რომელიც შესაძლოა მომავალ წელს გადაიხედოს უპირატესობა მიენიჭოს იმავე უბანში მცხოვრებლებს, რადგან დამატებითი რეგისტრაციის პერიოდში მოსახლეობის ძირითადი უკმაყოფილება სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია. საბოლოოდ, ორივე რეგისტრაციის მეშვეობით თბილისის ბაღებში 18 000-მდე ბავშვი დარეგისტრირდა.

ბატონმა კახაბერმა ყურადღება გაამახვილა თბილისის N74 ბაგა-ბაღში მიმდინარე საპილოტე პროგრამისა "ნეიროპლასტიურობა და განათლება" და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სმენისა და მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროექტის შესახებ, რომელიც 2019 წელს ორ საჯარო სპეციალიზებულ საბავშვო ბაგა-ბაღში საპილოტედ დაიწყება. აგრეთე, მისი თქმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მოსახლეობის ინფორმირებსა და ცნობიერების გაზრდის მიზნით, განხორციელდა პროექტი ,,მწვანე ჯილდო'', რომლის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია და გამოვლინდა 15 გამარჯვებული (აღმზრდელები და მეთოდისტები) და დაჯილდოვდნენ პრიზებით.

გარდა ამისა, ბატონი კახაბერის თქმით, სააგენტომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, წარუდგინა მათ სამოქმედო გეგმა.

ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის - უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მიმდინარეობს სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი; გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურთან (112) ერთად განისაზღვრა სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის პრინციპი, რის საფუძველზეც, სააგენტომ, პირველ ეტაპზე, გამოაცხადა ტენდერი 43 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო ,,სამისამართო სისტემებით" აღჭურვაზე, რაც ოპერატიული რეაგირების საშუალებას იძლევა, ვინაიდან ზუსტად ადგენს დაკვამლიანების ადგილს.

აგრეთვე, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, დარჩენილ 20-მდე საბავშვო ბაგა-ბაღში „ყაზტრანსგაზის" რეკომენდაციის თანახმად, სამზარეულოში გაზქურები ელექტრო ქურებით ჩანაცვლდა. ამასთან, გრძელდება ბაღების ფანჯრებზე უსაფრთხოების ბადეების დამონტაჟება და წლის ბოლომდე თბილისის 180-ივე საბავშვო ბაღი აღჭურვილი იქნება.

ბატონი კახაბერის თქმით, ჯანმრთელობის კონტროლის მიზნით, ,,ტუბდისპანსერთან", თანამშრომლობით გამოიცა ბრძანება, რომლითაც სავალდებულო გახდა ტუბერკულოზით დაავადებაზე შემოწმება და თანამშრომლების მიერ ყოველწლიურად ტუბერკულოზის არქონის შესახებ ცნობის წარმოდგენა. გარდა ამისა, სააგენტომ მიმართა ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს" სხვადასხვა გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

სააგენტოს დირექტორმა საუბარი გააგრძელა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ სააგენტოს მენეჯმენტის სისტემის აუდიტს მიენიჭა ISO 9001:2015-ს სერტიფიკატი, რაც ხელს შეუწყობს დონორებთან ურთიერთბას. აგრეთე, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან SAI GLOBAL-თან (ბრიტანული კომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში) 9 თვიანი თანამშრომლობის შედეგად სააგენტომ შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, ხოლო HR სტრატეგიის სანიმუშო სტრუქტურა სააგენტოს მიერ დამუშავების პროცესშია.

ამავე მიმართულებით, ბატონი კახაბერის თქმით, ფაქტობრივად დასრულებულია პროექტს ,,სერვის+" ინტეგრირება, რომელიც სააგენტოს ,,ერთი ზარის პრინციპით" საშუალებით შესაძლებლობას მისცემს, გააუმჯობესოს კომუნიკაცია აღსაზრდელების მშობლებთან, საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებსა და მოსახლეობასთან. აგრეთვე, შეიქმნა თბილისის საბავშვო ბაღების 25-მდე დირექტორით დაკომპლექტებული დირექტორთა საბჭო, რომელსაც სააგენტო თვეში მინიმუმ სამჯერ ხვდება საკითხების განხილვისთის, მოცემული დროისთვის კი მენიუს დახვეწაზე მიმდინარეობს მუშაობა.

სააგენტოს ხელმძღვანელმა თავისი ანგრიში დაასრულა სააგენტოს ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციით და აღნიშნა, რომ უმთავრესი ხარჯი არის ხელფასები და კვება. მისი თქმით, აღსაზრდელთა ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოებით უზრუნველყოფის მიზნით, მომდევნო წლიდან იგეგმება სათამაშოების ხარჯის გაზრდა. გარდა ამისა, მომავალ წელს იგეგმება კაპიტალური ხარჯების გაზრდა, რაც ძირითადად, განპირობებულია სადემონტაჟო ბაღების არსებობით.

სხდომის თავჯმდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა, მადლობა გადაუხადა სააგენტოს ხელმძღვანელს ამომწურავი ინფორმაციისთვის და მიმართა სხდომის მონაწილე დეპუტატებსა და სტუმრებს, წარმოეგინათ კითხვები და რეკომენდაციები.

ქალბატონი თამარი დაინტერესდა, თუ როგორია სააგენტოს ხედვა ,,აღმზრდელ-პედაგოგების'' საქმიანობის ღირსეულად დაფასებისადმი. დეპუტატის თქმით, არსებული ინფორმაციით, ბაღების აღმზრდელებმა უნდა მიიღონ პედაგოგის სტატუსი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს როგორც ახალ ვალდებულებებს, ისე ბენეფიტებსაც, რაც დღეისთვის სკოლის პედაგოგებს გააჩნიათ.

კომისიის თავმჯდომარის მეორე კითხვა ეხებოდა საბავშვო ბაგა-ბაღების პროექტების შესაბამისობას ინფრასტრუქტურის ახალ სტანდარტებთან, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულია, თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ დამტკიცებული არ არის.

ქალბატონმა თამარმა ხაზი გაუსვა სააგენტოს „ტუბდისპანსერთან" თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიას აქვს რეკომენდაცია სააგენტოსთვის მიცემული, რომ წარადგინოს საბავშვო ბაგა-ბაღებში დაავადებათა პრევენციის სტრატეგია. ამასთან, მისი თქმით, გასულ წელს საბავშვო ბაგა-ბაღების მედიკოსებმა გაიარეს გადამზადების კურსი და დაინტერესდა, როდისთვის იგეგმება ჯანდაცვისა და ჰიგიენის შემდეგი გადამზადების ეტაპი.

ტრენინგებთან დაკავშირებით, დეპუტატი ასევე დაინტერესდა, გრძელდება თუ არა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, რამდენიმე წლის წინ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. მისი განმარტებით, საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისთის დამონტაჟებულია ვიდეო-კამერები.

კომისიის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა შრომის ღირსეული ანაზღაურებისთვის სახელფასო განაკვეთის ზრდის შესაძლებლობით. დეპუტატის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას აუცილებელია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის საკრებულოში სამუშაო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს ,,სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსებისა და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ივნისის N16-64 დადგენილების გენდერული ანალიზი. დეპუტატის თქმით, ვინაიდან აღნიშნული წესი რეგისტრაციისას პრიორიტეტულ ჯგუფად არ განიხილავს მარტოხელა მშობლის ბავშვებს, შესაბამისად კომისიას აქვს ინიციატივა, აღნიშნული საკითხის გათვალისწინების მიზნით, წესში ცვლილების შეტანის.

ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული ინფრასტრუქტურის სტანდარტების პროექტი ბაღების მშენებლობის პროექტებში, თუმცა არის პროექტები, რომლებიც უკვე შეთანხმებულია სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან და რომელთა შეცვლა სირთულეს წარმოადგენს. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ბაღების მშენებლობის პროექტებში ითვალისწინებს ტექნიკურ რეგლამენტს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებას, რომელიც სააგენტოს არ აძლევს საშუალებას მცირე ტერიტორიებზე ააშენოს ბაღები, თუმცა გლდანში, სამგორსა და ისანში ჯერ კიდევ არის შესაბამისი ფართის მუნიციპალური ტერიტორიები, რომლებზეც მშენებლობისას დაცული იქნება ზემოხსენებული დადგენლების მოთხოვნები. ბატონი კახაბერის თქმით, საბურთალოს, ვაკის, დიდუბის, ჩუღურეთის რაიონებში არსებობს ტერიტორიების მოძიების პრობლემა. მან მაგალითად მოიყვანა ჩუღურეთის რაიონში მდებარე ერთ-ერთი საბავშვო ბაღი, რომელიც სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დაიხურა, აღნიშნულ ადგილზე ახალი შენობის პროექტზე მუშაობის პროცესში კი გამოვლინდა, რომ არსებული ფართი ვერ აკმაყოფილებს ხსენებული დადგენილების მოთხოვნებს. სააგენტოს დირექტორის თქმით, აღნიშნულ საქმეში ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დასჭირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერა, რათა დაცული იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული ინფრასტრუქტურის ახალი სტანდარტები.

საბავშვო ბაღებში ჰიგიენასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისგან მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, სააგენტო უახლოეს დღეებში დაუკავშირდება ჯანდაცვის ექსპერტებს.

საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ხელფასებთან დაკავშირებულ კითხვაზე სააგენტოს დირექტორმა განმარტა, რომ სააგენტო მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურთან ერთად. ამასთან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებობს მიდგომა, რომ თანამშრომელთა ხელფასების მატება უნდა განხორციელდეს მათი კვალიფიკაციის მიხედვით. შესაბამისად, სააგენტოს მიზანია, არა მხოლოდ ყველა თანამშრომლისთვის ხელფასების ერთიანად გაზრდა, არამედ გაზრდილი ხელფასის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის მიღწევაც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში უნდა აისახოს საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა ხელფასების გასაზრდელად დამატებითი სახსრები, რასთან დაკავშირებითაც, მისი თქმით, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მმართველი გუნდის წევრებთან ერთად იმსჯელებს, შესაძლებლობის ფარგლებში, საბავშვო ბაგა-ბაღების

თანამშრომლების ხელფასებისთვის დამატებითი სახსრების გამოყოფის შესაძლებლობაზე 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ მიაწოდა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს 2019 წლის ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ბაღის თანამშრომლეთა ხელფასების მატებაც.

საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა საკვების პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ იგეგმება ცვლილება, რომლის მიხედვით საქართველოს ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში კვების ერთიანი სტანდარტის შემოღების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტო განახორციელებს კონსოლიდირებულ ერთიან შესყიდვებს.

მარტოხელა მშობელთა შვილების პრიორიტეტულად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა გამოთქვა განხილვის დაწყების მზაობა. აგრეთე, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სააგენტოსა და თბილისის საკრებულოს დეპუტატების ერთობლივი მუშაობა, ელექტრონული და დამატებითი რეგისტრაციის პრიორიტეტების ჩამოყალიბებისთვის. მისი აზრით, ერთ-ერთი პრიორიტეტი ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და ბაღის მდებარეობა უნდა იყოს.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა კომისიის წევრი, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძემ და აღნიშნა, რომ ამგვარად უფრო სამართლიანად განხორციელდება ბაღებში აღსაზრდელების გადანაწილება.

სააგენტოს დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ მომავალი ორი წლის განმავლობაში ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო დაახლოებით 31 ახალ ბაღს ააშენებს, 10 მათგანის მშენებლობა კი მიმდინარე წელს დაიწყება. მისი განმარტებით, ახალი მშენებლობები მოიცავს თბილისის თითქმის ყველა უბანს და აღნიშნული ტემპის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, ვინაიდან 2020 წლიდან ამოქმედდება ბაღის ჯგუფებში ბავშვთა ოდენობები ახალი სტანდარტი. მისი თქმით, მოცემულ მომენტში სააგენტოში 2 500 დაუკმაყოფილებელი განცხადებაა ბაღში ჩარიცხვის მოთხოვნით, რაც 2017 წელთან შედარებით, 6000 განცხადება, შემცირებულია, თუმცა ახალი სტანდარტების ამოქმედების შემდეგ დამატებით რეგისტრაციას სააგენტო ვეღარ უზრუნველყოფს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ საჯარო საბავშვო ბაღების მშენებლობითა და მუნიციპალური ბიუჯეტით ვერ მოხდება არსებული მოთხოვნისა და სტანდარტების დაკმაყოფილება, შესაბამისად, ვაუჩერიზაციისა და ავტორიზაციის საკითხები ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ბატონი ირაკლი ზარქუა გამოეხმაურა წამოჭრილ საკითხს და განმარტა, რომ ბაღების ავტორიზაციის ფარგლებში, საჭიროა გარკვეული სეგმენტისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისზე ფასის დაწესება, ამგვარი მიდგომით დაზოგილი საბიუჯეტო სახსრებით კი მეტი სოციალურად გაჭირვებული ოჯახი ისარგებლებს უფასო სკოლამდელი აღზრდის სერვისით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორს, ბატონ კახაბერ გვანელაძეს,

ასევე, სააგენტოსა და საბავშვო ბაგა-თანამშრომლებს გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის. მისი თქმით, აღსაზრდელებს კომფორტულ გარემოში მიეწოდოთ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისები და სწორედ საბავშვო ბაღების თანამშრომლები არიან ის ადამიანები, რომლებზეც გადადის ამ სააღმზრდელო პროცესის ძირითადი დატვირთვა. ბატონი თავმჯდომარის თქმით, გაწეული სამუშაოების მასშტაბის მიუხედავად, წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, მათ შორის, სხვა საჭიროებებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბაღის თანამშრომლეთა ხელფასების მატება. ბატონმა გიორგიმ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პარლამენტთან და ცენტრალურ მთავრობასთან ერთად გამოინახება გზები საბავშვო ბაგა-ბაღებში პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

კახაბერ გვანცელაძემ, თამარ ტალიაშვილმა, გულია გოცირიძემ, ირაკლი ზარქუამ, ქეთევან ჯოხაძემ, გიორგი ტყემალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ **კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასებისა და მისი ცნობად მიღების შესახებ:**

მომხრე _____	5
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

ერთხმად გადაწყვიტეს: განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ ანგარიშს და ცნობად იღებს მას.

სხდომის თავმჯდომარემ **სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი ----------